მაია ახვლედიანი, ლალი აბდალაძე, ქეთევან ლატარია

DOI: https://doi.org/10.52340/zssu.2023.15.11

XXI საუკუნის გამოწვევები - კრიტიკული აზროვნების განვითარება სტუდენტებში

აბსტრაქტი: *კრიტიკული აზროვნების უნარზე ორიენტირებული სწავლა XXI საუკუნის გამოწვევაა. იგი გულისხმობს არა მხოლოდ აქტიურ ძიებას, არამედ ნასწავლის საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირებასა და შედარებას სხვა კვლევებთან. კრიტიკული აზროვნება გვეხმარება იმის გაგება-გააზრებაში, რასაც ვსწავლობთ და ვაკეთებთ. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების და განათლების თანამედროვე პარადიგმების თანახმად, სწავლების მიზანია მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად. ეს უნარები სტუდენტს ყველაზე უკეთ სწავლების პროცესში უვითარდება. ამიტომ, ლექტორი მთავარი გზამკვლევია კრიტიკული აზროვნების განვითარების გზაზე. თანამედროვე განათლების პერსპექტივები და მომავალი დაკავშირებულია არა მხოლოდ უახლეს ტექნოლოგიებთან, არამედ ადამიანებთან, რომლებიც მას შესაბამისი მიზნებისთვის გამოიყენებენ. მნიშვნელოვანია და ორიენტირია კვლევა, რომელიც საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში.*

საკვანძო სიტყვები: *კრიტიკული აზროვნება, კვლევა, ტექნოლოგია, სასწავლო ინფორმაცია, რეფლექსია.*

მკვლევრები კრიტიკული აზროვნების მნიშვნელობაზე გასული საუკუნის 50 – იანი წლებიდან ალაპარაკდნენ. მათი ყურადღება მიიპყრო აზროვნების ფორმამ და რთულმა სააზროვნო უნარ–ჩვევამ, რომელიც ერთდროულად რამდენიმე განსხვავებულ მოსაზრებაზე ფიქრს, განსხვავებული აზრების გაგებას, სხვათა განსხვავებული იდეების გაცნობიერებას გულისხმობს. იგი საკითხისადმი არაერთჯერადი, მრავალმხრივი მიდგომაა. კრიტიკული აზროვნების პროცესში პიროვნება აფიქსირებს ფაქტს, არკვევს მისი წარმოშობის მიზეზებს და შედეგებს, აზუსტებს – რა დაიჯეროს და რა უარყოს.

კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგია, პედაგოგიკის თეორეტიკოსების ყურადღების ქვეშ გასული საუკუნის 90-იან წლებში აღმოჩნდა და სასწავლო პრაქტიკაში დანერგვას ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდა. ტექნოლოგიას განმავითარებელი სწავლების ერთ–ერთ სახედ მიიჩნევენ და აზროვნების და ცხოვრების გაუმჯობესების ფუნქციას ანიჭებენ.

პიროვნებამ კრიტიკული აზროვნების განსახორციელებლად უნდა განიხილოს სასწავლო ინფორმაცია, მოიძიოს საჭირო არგუმენტები, მიიღოს გადაწყვეტილება. მოიპოვოს კონტრარგუმენტები, იმსჯელოს სავარაუდო მოსაზრებებზე, დააზუსტოს, შეაჯამოს საკითხი და გამოიტანოს დასკვნა.

აზროვნების ეს ფორმა არ არის კრიტიკა ან ნეგატიური მსჯელობა. ის ინფორმაციის ზერელედ დაჯერების საწინააღმდეგო ქცევაა. მისთვის დამახასიათებელია ფიქრი, გონიერი განსჯა, საკითხისადმი მრავალფეროვანი და მრავალჯერადი მიდგომა. კრიტიკული აზროვნება პიროვნების მიერ დამოუკიდებლად, გააზრებული გადაწყვეტილების მიღების უნარის გამომუშავებას ახდენს და ხელს უწყობს სტუდენტთა სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართვას. მნიშვნელოვანია, რომ კრიტიკული აზროვნებისას სტუდენტი სწავლობს სხვათა აზრის პატივისცემას, წარმატებულ სასწავლო ურთიერთობებს, უვითარდება ცნობისმოყვარეობა, კითხვების დასმის და პასუხის ძიების უნარები. იგი საშუალებას აძლევს სტუდენტს,

გამოიყენოს თავისი ცოდნა გაურკვეველი სიტუაციების დაზუსტებული აზრით შესავსებად.

პედაგოგიური და ფსიქოლოგიური შეფასებით კრიტიკული აზროვნების განვითარება რეფლექსურ - შეფასებითი მოღვაწეობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას გულისხმობს. იგი ადამიანის წარმოშობასთან ერთად გაჩნდა, როგორც სასიცოცხლო მნიშვნელობის ფორმა და ისევე მიესადაგება ადამიანის ბუნებას, როგორც შეგნება, აზროვნება, მეხსიერება და ა.შ.

რეფლექსია მუდმივი პროცესია, იგი განსაკუთრებული შემეცნებითი მოქმედებაა, რომელიც აზუსტებს და არკვევს თუ როგორ გამომუშავდება ცოდნა და წარმოდგენები. იგი ადამიანში არსებული პოტენციალის გახსნისა და საკუთარ შესაძლებლობებში გაჩენილი ეჭვის გადალახვის საშუალებაა. მნიშვნელოვანი ფაქტორია სტუდენტებში კრიტიკულ რეფლექსური სტილის ჩამოყალიბება. კრიტიკულ-რეფლექსურ სტილს მიეკუთვნება:

- სტუდენტის მიმართება ლექტორთან და პარტნიორებთან. მათთან კონსტრუქციული დიალოგი. უნარი, დაიცვას საკუთარი თვალსაზრისი მიუხედავად გარშემომყოფთა შეხედულებისა, აღიაროს მისი არასამართლიანობა ოპონენტის მიერ არგუმენტირებული კონტრმტკიცებულებების შემდეგ;
- სტუდენტის მიმართება თვითდიაგნოსტიკაზე საკუთარი აზროვნების შედეგების მოცემულ ეტალონებთან შედარების საფუძველზე;
- სტუდენტის მიმღებლობა ახალი ინფორმაციის, ამოცანებისა და გადაწყვეტილებების არასტანდარტული ხერხებით გადაწყვეტის მიმართ;
- სტუდენტის მოტივირება ინფორმაციის შემოწმებაზე, მიუღებლობასა და რწმენაზე, მის ყოველმხრივ ანალიზზე და გაზიარებაზე. მოვლენის მიმდინარეობის და ხარისხის, შინაგანი თავისებურებების, მიზეზების გამოვლენა და ანალიზი.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აზროვნების ეს ფორმა სწავლების ხარისხის განმაპირობებელი ფაქტორია. იგი პრობლემურ სწავლებასთან მჭიდრო კავშირში

განიხილება. ამ ტექნოლოგიის გამოყენება შედეგიანი არ იქნება, თუ სტუდენტები კრიტიკულად არ აზროვნებენ.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში დაიგეგმა და ჩატარდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა შეგვესწავლა, სტუდენტთა შეხედულება კრიტიკული აზროვნების მნიშვნელობის შესახებ და მისი დანერგვის ხარისხი სასწავლო პროცესში.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის 13 სპეციალობაზე 900 სტუდენტი სწავლობს. ანონიმურ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 181-მა სტუდენტმა. რაც საერთო რაოდენობის 21 %. წარმოგიდგენთ კვლევის ზოგიერთ მონაცემს:

იცით თუ არა რა არის კრიტიკული აზროვნება? - 89. 4 % პასუხობს, რომ იცის; 9.4% -ზოგადად; 2.2% - არ ვიცი. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესმა ნაწილმა იცის, თუ რა არის კრიტიკული აზროვნება, ჩაღრმავებულმა გამოკითხვამ შემდეგი სურათი აჩვენა: 3.9 % აღნიშნავს, რომ იგი არის ნეგატიური მსჯელობა; 33,1 % კი აღნიშნავს, რომ იგი არის ფიქრი და განსჯა; 17.1% ინფორმაციის ზერელედ დაჯერების საწინააღმდეგო ქცევად აღიქვამს; გამოკითხულთა 82.9 % -მა საკითხისადმი მრავალჯერადი და მრავალფეროვანი მიდგომა დააფიქსირა პასუხად; ხოლო 2.8% -მა კრტიკული აზროვნება სხვისი აზრის მიუღებლობად ჩათვალა.



რატომ უნდა ვიცოდეთ კრიტიკული აზროვნება? კვლევაში ჩართულთა 97.2% - ს მიაჩნია, რომ უკეთეს შედეგებზე გავა; 3. 2% ფიქრობს, რომ შეიძლება გამოადგეს.

გამოკითხულთა 52.8% ფიქრობს, რომ კრიტიკული აზროვნების დანერგვის პროცესი უნივერსიტეტში მეტნაკლებად განვითარდა; 45 % პასუხობს - საკმაოდ სწრაფად განვითარდა; 2.2% კი ფიქრობს, რომ არ დანერგილია.

როგორია ლექტორთა დონე კრიტიკული აზროვნების სწავლების მიზნით? გამოკითხულთა 70% მიიჩნევს, რომ მაღალია; 27.8% -ის აზრით საშუალო; ხოლო 2. 2% ფიქრობს, რომ დაბალია.

როგორი პროცესია კრიტიკული აზროვნება? - 63.1% მიიჩნევს, რომ უწყვეტი პროცესია; 35.2% მიიჩნევს, რომ თანამიმდევრული პროცესია; ხოლო 1.7% ერთჯერადი პროცესია.

იყენებენ თუ არა სტუდენტები ლექტორთა მიერ შეთავაზებულ თეზისებს, წყაროებს, კრიტიკულ აზროვნებასთან დაკავშირებით? - კვლევაში მონაწილეთა 68.7% აცხადებს, რომ აქტიურად იყენებს; 27.9% - იშვიათად; 3.4% არ იყენებს.

კითხვაზე ახდენენ თუ არა ლექტორები იგნორირებას სტუდენტის კვლევის შედეგებზე - პროცენტულად პასუხები ასე გადანაწილდა: არასდროს - 70.6%; იშვიათად - 20%; კი - 9.4%.



სწავლის პროცესში გიქმნიან ლექტორები ემოციურ დისკომფორტს? გამოკითხულთა 72.8 % პასუხობს - არასდროს; 18.3 % - იშვიათად; 8.9% - კი.



ეხმარებიან თუ არა ლექტორები ინოვაციურ მოღვაწეობაში? კითხვაზე გამოკითხულთა 83.9% - პასუხობს კი; 13.19 % - იშვიათად; 2.2 % კი არასდროს.



შეკითხვაზე - რამდენად ხშირად მიმართავთ სასწავლო პროცესში საკითხების გაანალიზებას, გონიერ განსჯას, მრავალფეროვან მიდგომას და რეფლექსურ შეფასებას? კვლევაში მონაწილეთა 76.2% პასუხობს - დადებითად, 22.7 % - იშვიათად; 1.1 % - არასდროს.

კითხვაზე თუ რა უნარებს ავითარებს სტუდენტებში კრიტიკული აზროვნება 20.6 % თვლის, რომ ავითარებს სწავლების ხარისხს; 73,3% აღნიშნავს, რომ ავითარებს არგუმენტების მოძიების, გადაწყვეტილებების მიღების უნარებს; 38.9% თვლის, რომ ავითარებს სავარაუდო მოსაზრებაზე მსჯელობის და დასკვნების გამოტანის უნარებს; 16.1% კი აღნიშნავს, რომ სხვისი მოსმენის და სხვათა აზრის პატივისცემის უნარებს ავითარებს.



კომენტარებში სტუდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ ლექტორთა მიმართ, აღნიშნავენ, რომ დროულად აწოდებენ წყაროებს, მტკიცებულებებისათვის მასალებს, კრიტიკულად გაჯერებულ ინფორმაციას, უქმნიან პირობებს გამოთქვან არგუმენტები. გამოხატავენ სურვილს მეტი კორექტულობის აუცილებლობაზე საკითხზე მსჯელობისას სტუდენტების მხრიდან. ამ პრობლემის გადაწყვეტაში მიუთითებენ ლექტორის, როგორც პროცესის ორგანიზატორის როლზე.

აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის კრიტიკული გაჯერებულობის რეალიზების დროს უნდა იყოს დაცული ზომიერება - მისმა ზედმეტად გაჯერებულობამ შეიძლება გამოიწვიოს არეულობა და „ინფორმატიულობის დაკარგვა“, მაგრამ მიუღებელია მხოლოდ ფორმალურად დამამტკიცებელი კომპონენტებით შემოფარგვლაც. რაც დღეს ფართოდაა გავრცელებული და არამართებულია.

კრიტიკული აზროვნების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სტუდენტების ინდივიდუალური თავისებურებების, მათი უნიკალურობის, სხვადასხვა დონისა და გეგმიანობის შენარჩუნება, ამიტომაც შესაძლებელია ამ პრობლემის გადაწყვეტის შემდეგი გზები:

1. მეცადინეობებზე სტუდენტებისათვის ინდივიდუალური დავალებები;
2. წყვილებში და ჯგუფური მუშაობის ორგანიზება;
3. სტუდენტებისთვის ღია დავალებების ფორმულირება, რომლებიც მათ შესაძლებლობებს, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს გულისხმობს.

სწავლების კრიტიკული ტიპი განსაზღვრავს ლექტორის თანმხლებ პოზიციას სტუდენტური მოღვაწეობის მიმართ, რაც გულისხმობს მის დახმარებას საგანმანათლებლო მიზნების დასახვაში და მიღწევაში.

თანმხლები სწავლება გულისხმობს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო ამოცანების გადაწყვეტის საკუთარი გზების ამორჩევას ინდივიდუალური თავისებურებების შესაბამისად.

ტრადიციული პედაგოგიკა არ მოითხოვდა მიმდინარე ამბების გააზრებას არც ლექტორებისაგან და არც სტუდენტისაგან, მასში ადგილი არ აქვს მოღვაწეობის რეფლექსურ სახეობებს. გამოიყენებოდა ე. წ. მიღებული ცოდნის განმტკიცება ან განზოგადება. ლექტორს სთავაზობენ სასწავლო მასალით მზა საშუალებების კრებულს. კრიტიკული სწავლება ურჩევს ლექტორს გადაწყვიტოს სწავლების მიზნების დასახვის, სწავლების გეგმის შემუშავების, მეცადინეობების სისტემის კონსტრუირების პრობლემა, რეფლექსიის ფორმირება და შეფასება.

ამასთანავე, კრიტიკული სწავლების დროს ჩნდება სიტუაციური პედაგოგიკის ელემენტების შემუშავების აუცილებლობა, რომელიც დაფუძნებულია ინტუიტივიზმზე, ევრისტიკაზე და პერსონალიზმზე, როგორც ლექტორის, ისე სტუდენტების მხრიდან. სიტუაციური მეთოდი უკვე შევიდა ლექტორის ფუნქციებში, როგორც სწავლების ხერხი, რომელსაც იყენებენ ნოვატორი ლექტორები. მეთოდი ევრისტიკულია თავისი არსით, რადგან ლექტორი ქმნის მას ყოველთვის ახლებურად, შემოქმედებითი ინტუიციისა და წარმოქმნილი საგანმანათლებლო სიტუაციიდან გამომდინარე. შეიძლება ითქვას, რომ სიტუაციური მეთოდი არის ლექტორის პედაგოგიური პროდუქტი, რომელსაც ის ქმნის ევრისტიკული გზით. სიტუაციური პედაგოგიკის ტექნოლოგიური ელემენტია - ლექტორის იმპროვიზაცია, რომლის შედეგადაც იქმნება სუბიექტურ-ობიექტური ახალი ფაქტორები. იმ ლექტორთათვის, რომლებიც ახორციელებენ თანმხლებ კრიტიკულ სწავლებას, იმპროვიზაციის პროდუქტი არის სასწავლო მოღვაწეობის ტექნოლოგიური ელემენტი, რომელსაც

სთავაზობს სიტუაციასთან მიხედვით. სწავლების შინაარსობრივი ელემენტებია: კულტურულ-ისტორიული ანალოგიები, საკუთარი საინფორმაციო მსჯელობები, სწავლების კოგნიტიური ხერხები, წინააღმდეგობები, განზოგადებები, მოქმედებები, რომლებიც სტიმულირებას უკეთებს სტუდენტის კრეატიულ მოღვაწეობას, - შექებას, აღტაცებას, იძულებას და ა.შ. თანამშრომლობით ლექტორი ეხმარება სტუდენტს არა შემეცნების ხერხების ათვისებაში, არამედ თვითგანსაზღვრის ხერხების ათვისებაში - შექმნილი სიტუაციის ანალიზში, შესრულებული მოქმედებების რეფლექსიაში, მიზნების ფორმულირებაში, მათ მისაღწევად ოპტიმალური ხერხების შერჩევაში. ვფიქრობთ სტატია - „XXI საუკუნის გამოწვევა - კრიტიკული აზროვნების განვითარება სტუდენტებში.“ დახმარებას გაუწევს ლექტორებს, სტუდენტებს, საკითხით დაინტერესებულ პირებს დაგეგმონ და წარმართონ კრიტიკულ აზროვნებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. კვლევა აღნიშნულ საკითხზე არ დასრულებულა, ვგეგმავთ მისი არეალის გაფართოებას.

ლიტერატურა:

მასწავლებლები კრიტიკული აზროვნებისთვის. გზამკვლევი. USAID.

Попков В. А. Коржуев А. В. Дидактика Вышей Школы. 2004. (Москва)

ფირჩხაძე მ., *კრიტიკული აზროვნების განვითარების ზოგიერთი ტექნოლოგია და სტრატეგია*, თბ., http://mastsavlebeli.ge/